120 წუთი დაძაბულ ბრძოლაში

”დინამო” (თბილისი) - ”დინამო” (კიევი)

მიმდინარე წლის თასის გათამაშებაში თბილისის ”დინამოს” ფეხბურთელებს პირველი მატჩი ჰქონდათ ამ ჯილდოს გასული წლის მფლობელთან - კიევის ”დინამოსთან”. თამაში შედგა გუშინ, ”დინამოს” სტადიონზე. თამაში მეტად მაღალ ტემპში დაიწყო. სულ 5 წუთი იყო გასული დაწყებიდან და ბურთმა მოიარა მთელი მინდორი, ყოველი მოთამაშე ჩაება თამაშში. ორივე გუნდი თავიდან ყურადღებით შეუდგა თამაშს, თავდამსხმელები განუწყვეტლივ იცვლიდნენ ადგილებს, ხოლო მცველები გადაადგილებისას ფეხდაფეხ მისდევდნენ მათ. ათიოდე წუთის შემდეგ უპირატესობა თანდათან კიეველებმა აიღეს ხელთ. მათ შორის მაღალი ოსტატობით, დახვეწილი ტექნიკით გამოირჩეოდა ზაზროევი, მეტად სახიფათოდ თამაშობდა გრამატიკოპულო.

მე-14-ე წუთზე ბოგდანოვიჩმა კუთხური საჯარიმოდან ბურთი გადასცა მიხალინას, რომელმაც იგი ჩააწოდა კარის წინ. გრამატიკოპულო სწრაფად გავიდა და თავით გაიტანა ბურთი - 1:0.

გატანილმა გოლმა დაბნეულობა შეიტანა მასპინძელთა რიგებში, თავდამსხმელებმა დაკარგეს ტემპი.

ასევე დაიწყო თამაშის მეორე ნახევარი. თბილისელები კვლავ უამრავ შეცდომებს უშვებდნენ, რასაც კარგად იყენებდნენ კიეველები.

24-ე წუთზე ზაზროევი დრიბლინგით გავიდა მარცხენა ფლანგზე და კარის წინ გადასცა ტერენტიევს. თბილისელთა მცველები ამ დროს ”მოკრძალებით” იდგნენ შორიახლო. დარტყმა - 2:0.

მეორე ტაიმის დამთავრებას აკლდა 13 წუთი, როცა ხასაია გავიდა თავის ფრთაზე და ბურთი გადასცა ცენტრში, სადაც მას მოუსწრო კურტანიძემ - 1:2. ამ მომენტიდან თამაში მთლიანად შეიცვალა. თბილისელები გენერალურ შტურმზე გადავიდნენ. ორი წუთი შემდეგ ღოღობერიძის დარტყმა ზედა ძელს მოხვდა, მაგრამ მას მიუსწრო ხასაიამ და თავით ძნელი მდგომარეობიდან გაიტანა კარში - 2:2.

დაინიშნა დამატებითი დრო. იგი მთლიანად თბილისელთა მწვავე იერიშებში მიმდინარეობდა. კვლავ შესანიშნავად თამაშობდა ხასაია. კიეველები მოიქანცნენ და ძლივს ახერხებდნენ მოწინააღმდეგის იერიშების მოგერიებას.

დასასრულს უახლოვდებოდა დამატებითი დროც, როცა ხასაია გაიჭრა წინ და ბურთი ცენტრში გადასცა ღოღობერიძეს, რომელმაც მცველებთან ბრძოლაში ტექნიკურად ძნელი დარტყმით გაგზავნი იგი კარის უშორეს კუთხეში.

თბილისის ”დინამოს” ფეხბურთელებმა შეძლეს ძალების მობილიზება და დაამარცხეს თასის მფლობელი ანგარიშით 3:2.

რ. ქორიძე
“ლელო”, 20.07. 1955 .